



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



N 48
27/04/2018

48-07-4-201804271508



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №48
2018 წლის 27 აპრილი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, გაზარდოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში, დამხმარე (არამუდმივი) ამოცანების შესრულების მიზნით არსებული, შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნება ხუთი ერთეულით, (რომელშიც იგულისხმება სოფელ გრიგოლეთში არსებული, საფეხურთო ბაზის დამლაგებლის, დარაჯისა და ადმინისტრატორის პოზიციები, ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილების ოპერატორისა და „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის“ სპეციალისტის პოზიციები).

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე



საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო